

შპს „გეოპლანტ პლიუს“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ნუშის ბაღის სამელიორაციო სისტემის მოწყობა და
ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

ეკოპლანტი

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო
და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრის“ მიერ

ქ.თბილისი, 2023 წელი

სარჩევი

- 1. შესავალი2
- 2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა..... 4
- 3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა8
- 4. სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის გათვალისწინებული სამუშაოები 11
- 5. დასაქმება და სამუშაო გრაფიკი 13
- 6. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები 13
- 7. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება..... 13
- 8. მდ. ალაზნის ჰიდროლოგია..... 17
- 9. ზემოქმედების შეფასება 21
- 9.1 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება..... 21
- 9.2 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე 21
- 9.3 ზემოქმედება სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე 22
- 9.4 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე..... 22
- 9.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე 23
- 9.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 23
- 9.7 ნარჩენების წარმოქმნა და მისი მართვა 24
- 9.8 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და მასზე ზემოქმედება..... 24
- 9.9 ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება..... 24
- 9.10 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე 25
- 9.11 ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე 25
- 9.12 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე 26
- 9.13 კუმულაციური ზემოქმედება 26
- 10. დანართი 1 - მიწის ნაკვეთების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან 27
- 11. დანართი 2 - ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ..39
- 12. დანართი 3 - ლიცენზია..... 47
- 13. დანართი 4 - შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“-თან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი..... 49

1. შესავალი

მპს „გეოპლანტ პლიუს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. საბათლოს და სოფ. არხილოსკალოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე ნუშის ბაღის მორწყვის მიზნით გეგმავს სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას. პროექტის განხორციელება იგეგმება სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, დანერგე მომავალის პროგრამის მხარდაჭერით და თანადაფინანსებით. აღნიშნული საქმიანობისთვის გამოყოფილია კომპანიის ხელმძღვანელობის საკუთრებაში არსებული 6 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 126 ჰა.

კომპანიას მის საკუთრებაში არსებულ ერთ-ერთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე, ს/კ: 52.14.31.009, გააჩნია სამი რეზერვუარი. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ მიწის ნაკვეთი შეიძინა უკვე მოწყობილი რეზერვუარებით, რომლებიც ამ ტერიტორიაზე განთავსებულია 1900-იანი წლებიდან. აღნიშნული რეზერვუარები მოწყობილი იყო მიწათხრილით, ვინაიდან რეზერვუარებს მრავალი წლის განმავლობაში არავინ იყენებდა (მათ არანაირი ფუნქციური დანიშნულება არ ქონდათ) რეზერვუარები დაფარული იყო ბუჩქნარი საფარით და ნაგვით. კომპანიამ ნაკვეთის შეძენის შემდგომ უზრუნველყო აღნიშნული რეზერვუარების გასუფთავება (ბუჩქნარი საფარისგან და ნაგვისგან). რეზერვუარების მოცულობები შემდეგია: პირველი რეზერვუარის მოცულობა - 7 800 მ³-ს, მეორე რეზერვუარის მოცულობა - 5 200 მ³-ს, მესამე რეზერვუარის მოცულობა - 12 870 მ³, საერთო მოცულობით დაახლოებით - 26 000 მ³. რეზერვუარების გასუფთავების შემდგომ კომპანიამ მათ მიმდებარედ მოაწყო ჭაბურღილი (რომელზეც გააჩნია შესაბამის ლიცენზია N10002949, იხ. დანართი N3) რის შემდგომაც, აღნიშნული ჭაბურღილიდან წყალი წამოვიდა თვითდინებით (წყლის მოდინებამ მიიღო უკონტროლო ხასიათი), კომპანიის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს პროცესის კონტროლი და ჭაბურღილიდან წამოსული წყალი, დაგროვდა ერთ-ერთ რეზერვუარში (მოცულობით - 7 800 მ³). გარკვეული პერიოდის შემდეგ ჭაბურღილიდან წამოსული წყლის ნაკადმა დაიკლო და დღეს იმდენად მცირეა, რომ ვერ უზრუნველყოფს ვერცერთი რეზერვუარის შევსებას.

შესაბამისად, კომპანიამ ამ ეტაპზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაგეგმილი ბაღის მოსარწყავად რეზერვუარები შეავსოს მდინარე ალაზნის წყლით. ამასთან, დაგეგმილია სამივე რეზერვუარის დამატებით გაწმენდა და ძირისა და კედლების გასწორება ბულდოზერისა და ექსკავატორის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიამდე არ არის მიყვანილი ელექტრო ენერჯია, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 52.14.31.009, მოეწყო მზის პანელები (რომელთა საერთო სიმძლავრეა 120 კილოვატი/სთ), მომავალში დასამონტაჟებელი ტუმბოების ელექტროენერჯით მომარაგების მიზნით. როგორც უკვე აღინიშნა მზის პანელები უკვე

მოწყობილია, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საქმიანობა არ საჭიროებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურის გავლას.

ნუშის ბაღი გაშენდება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გამოყენებული იქნება ქართული და ესპანური ჯიშის ნუშის ნერგები (სულ დაახლოებით 100 000 ნერგი). აღნიშნული ნერგები სრულ მსხმოიარობას მიაღწევს 4-6 წელიწადში, მსხმოიარობაში შესვლის დროს ბაღის წარმადობა იქნება დაახლოებით 400-500 ტონა. ნუშის რეალიზაცია განხორციელდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ნუშის ბაღისთვის უმნიშვნელოვანესია მორწყვის ეფექტური სისტემის გამოყენება. სწორედ ამიტომ, კომპანია გეგმავს პროექტის ფარგლებში მოაწყოს ისრაელის წარმოების წვეთოვანი სამელიორაციო სისტემა, რომლის წყლით მომარაგება განხორციელდება, კომპანიის საკუთრებაში არსებული რეზერვუარებით, რომელთა საერთო ჯამური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 26 000 მ³-ს. ვინაიდან, ზემოაღნიშნული წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით და მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობებს და აღნიშნულ საქმიანობებზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნუშის ბაღის მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით მომზადებულ იქნა სკრინინგის განაცხადი. ცნობები კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N 1 – ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „გეოპლანტ პლიუს“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს.ჩიქოვანის ქ., N 7, ბ. 35
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	405505172
კომპანიის დირექტორი	გიორგი მხეიძე
საკონტაქტო ინფორმაცია	geoplant20@gmail.com 599 55 64 54
საქმიანობის სახე	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. საბათლოს და სოფ. არხილოსკალოს მიმდებარე ტერიტორია
საკონსულტაციო კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ცენტრი - ეკომეტრი“
საიდენტიფიკაციო ნომერი	405390973
იურიდიული და ფაქტური მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ. N16

დირექტორი	თინათინ ჟიჟიაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია	www.ecometer.org.ge E-mail: info@ecometer.org.ge ტელ: 593 044 044; 577 38 01 13

2. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

შპს „გეოპლანტ პლიუს“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. საბათლოს და სოფ. არხილოსკალოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გეგმავს ნუშის ბადის გაშენებას. უშუალოდ ნუშის ბადის გაშენებისთვის გამოყოფილია კომპანიის ხელმძღვანელობის საკუთრებაში არსებული 5 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 106 ჰა. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდებია: 52.14.32.181 (229 549 მ²) - მესაკუთრე შპს „გეოპლანტ 22“; 52.14.32.112 (121 279 მ²) - მესაკუთრე შპს „გეოპლანტ 22“; 52.14.32.182 (206 638 მ²) - მესაკუთრე შპს „გეოპლანტი20“; 52.14.32.116 (35 284 მ²) - მესაკუთრე სახელმწიფო, მოიჯარე - შპს „გეოპლანტი20“; 52.10.04.00.140 (470 036 მ²) - მესაკუთრე შპს „გეოპლანტი21“; პროექტით დაგეგმილი სამელიორაციო სისტემა მოეწყობა ტერიტორიის სრულ ფართობზე.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა კომპანიას მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე (მესაკუთრე შპს „გეოპლანტ პლიუს“), ს/კ: 52.14.31.009 (ფართობი 200 000 მ²) გააჩნია სამი რეზერვუარი, რომელთა საერთო ტევადობა შეადგენს დაახლოებით 26 000 მ³. ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ასევე მოწყობილია მზის პანელები (საერთო სიმძლავრით - 120 კილოვატი/სთ). მზის პანელები განთავსებულია შემდეგ GPS კოორდინატებზე:


	X	Y
1	637105.00	4579630.00
2	637143.00	4579625.00
3	637102.00	4579611.00
4	637138.00	4579604.00

სკრინინგის ანაგარიშს დანართის სახით თან ერთვის შპს „გეოპლანტ პლიუს“-ის; შპს „გეოპლანტი20“-ის; შპს „გეოპლანტი21“-ისა და შპს „გეოპლანტ 22“-ის ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნულ კომპანიებს ყავთ საერთო მფლობელები.

ნუშის ბადისთვის შერჩეული ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფელი საბათლო, დაშორებულია დაახლოებით 2,9 კმ-ით, რეზერვუარების ტერიტორიიდან - დაახლოებით 3 კმ-ით, ხოლო

ტუმბოების განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით - 3,7 - 4 კმ-ით. რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტს - მდ. ალაზანს, იგი უშუალოდ ნუშის ბადისთვის შერჩეული ტერიტორიის უკიდურესი საკადასტრო საზღვრიდან მდებარეობს დაახლოებით 1,5 კმ-ში, ხოლო რეზერვუარების განთავსების საკადასტრო კოდის უკიდურესი საზღვრიდან დაახლოებით 15 მეტრში. უახლოესი დაცული ტერიტორია - ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან, უშუალოდ ემიჯნება იმ მიწის ნაკვეთს, რომელზეც რეზერვუარებია განთავსებული, ხოლო ნუშის ბადისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთებიდან დაცილებულია დაახლოებით 1,1 – 2,2 კმ-ით.

საპროექტო მიწის ნაკვეთებამდე მიდის უკვე არსებული გზები, რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შესაბამისად დამატებითი გზების მოწყობა საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის.



სურ. 1 - ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა



სურ 2 - მდინარიდან წყალაღების, ბეტონის ფილისა და ბეტონის ჭის განთავსების წერტილები

3. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

შპს „გეოპლანტ პლიუს“ დაგეგმილი ნუშის ბადის მორწყვის მიზნით, გეგმავს საპროექტო ტერიტორიაზე მოაწყოს ისრაელის წარმოების წვეთოვანი სარწყავი სისტემა. გამომდინარე იქიდან, რომ ნუში განსაკუთრებით მომთხოვნია წყლის მიმართ, ნერგის სრულყოფილი განვითარების მიზნით, მის მორწყვას წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება მდ. ალაზნიდან, ერთ წერტილში. მდინარიდან წყალაღების მიახლოებითი GPS კოორდინატებია:

X	Y
637042.00	4579708.00

წყალაღების წერტილთან, მდინარის ნაპირზე, მიწის ზედაპირზე (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X - 637040 Y - 4579700), განთავსდება ბეტონის ფილა (პარამეტრები - სიგრძე 3 მ, სიგანე 2 მ, სიმაღლე 0,2 მ) რომელზეც ერთმანეთის გვერდიგვერდ (ერთ სიგრძეზე) განთავსდება სამი ერთმანეთის იდენტური, მშრალი ტიპის, ტუმბო (სიმძლავრე - 11 კვტ, წარმადობა - 120 მ³/სთ) ბეტონის ფილის მცირე მასშტაბიდან გამომდინარე მასზე განთავსებული ტუმბოების სათითაო კოორდინატების წარმოდგენა არარელევანტურია. მდინარიდან წყლის ამოღება მოხდება შემწოვი მილებით (D-100მმ), რომლებიც დაერთებული იქნება ტუმბოებზე. აღსანიშნავია, რომ სამივე ტუმბოს ერთდროულად მუშაობა პროექტით გათვალისწინებული არ არის, ტუმბოები იმუშავებენ მორიგეობით, შესაძლებელია (საჭიროებისამებრ) მოხდეს ორი ტუმბოს ერთდროულად ჩართვა. აღნიშნული ტუმბოების ელექტროენერგიით მომარაგება მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი მზის პანელების მეშვეობით გამომუშავებული ელექტროენერგიით, საიდანაც ტუმბოებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება მიწისქვეშა კაბელით (16 კილოვოლტი ძაბვის მქონე). მდინარიდან წყლის ამოღების მიზნით მოწყობილი ტუმბოები იქნება თურქული წარმოების. ტუმბოს მეშვეობით მდინარიდან ამოღებული წყალი, ლითონის მილებით (D-160მმ) შეგროვდება რეზერვუარებში. სამარაგო რეზერვუარების შევსება განხორციელდება საჭიროებისამებრ, გვალვიანი სეზონის შესაბამისად, შესაძლოა ეს მოხდეს 3-6 დღეში ერთხელ. რეზერვუარების პარამეტრები შემდეგია (რეზერვუარების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N3.1, ამასთან განცხადებას დამატებით თან ერთვის რეზერვუარების Shp ფაილი) : პირველი რეზერვუარის სიგრძე - 120 მ, სიგანე - 50 მ, სიღრმე - 1.3 მ, მოცულობა - 7 800 მ³; მეორე რეზერვუარის სიგრძე - 100 მ, სიგანე - 40 მ, სიღრმე - 1.3 მ, მოცულობა 5 200 მ³; მესამე რეზერვუარის სიგრძე - 220 მ, სიგანე - 45 მ, სიღრმე - 1.3 მ, მოცულობა - 12 870 მ³, ჯამური მოცულობით დაახლოებით 26 000 მ³ (25 870 მ³). აღნიშნული რეზერვუარები მოწყობილია მიწათხრილით და რეზერვუარის ქვეშ საიზოლაციო მიზნით არაფრის ჩაფენა არ არის დაგეგმილი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა დაგეგმილია მხოლოდ რეზერვუარების დამატებით გაწმენდა და ბულდოზერის და ექსკავატორის დახმარებით ძირისა და

გვერდების გასწორება. ერთმანეთის გვერდით მდგომი პირველი და მეორე რეზერვუარი ერთმანეთს დაუკავშირდება ფოლადის 200 მმ დიამეტრის მქონე მილით, ხოლო მეორე და მესამე რეზერვუარებიდან 200 მმ დიამეტრის მქონე ფოლადის მილებით წყლის ჩადინება მოხდება ტერიტორიაზე მოსაწყობ ბეტონის ქაში (ქის მოწყობა დაგეგმილია შემდეგ GPS კოორდინატებზე X - 637154; Y - 4579602, პარამეტრები: დიამეტრი 2000 მმ, სიმაღლე - 8მ), სადაც წყლის სარწყავ სისტემაში გადანაწილებისთვის განთავსდება ლორენცოს ფირმის ტუმბო (სიმძლავრე 100 კვტ, წარმადობა 80 მ³/სთ). აღნიშნული ტუმბოს ელექტროენერგიით მომარაგება დაგეგმილია ასევე მზის პანელების მეშვეობით გამომუშავებული ელექტროენერგიით, საიდანაც ტუმბოსთვის ელექტროენერგიის მიწოდება მოხდება მიწისქვეშა კაბელით (16 კილოვოლტი ძაბვის მქონე). ბეტონის ქიდან ბაღისთვის წყლის მიწოდება მოხდება მაგისტრალური მილის (მასალა რკინა, თუჯი; დიამეტრი - D-150 მმ; 200 მმ, სიგრძე დაახლოებით 3000 მ) გავლით, კერძოდ მაგისტრალური მილით წყალი მიეწოდება ბაღის ტერიტორიაზე განთავსებულ მეტალის მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული ფორმის რეზერვუარს (რომლის მოცულობა ტოლია 500 მ³-ის; კოორდინატები შემდეგია: X - 635453, Y - 4577229; აღნიშნული რეზერვუარიც განთავსებულია 1900-იანი წლებიდან და მრავალი წლის განმავლობაში არანაირი ფუნქციური დანიშნულება არ ქონია, რეზერვუარი დაზიანებულია და კომპანია ამ ეტაპზე გეგმავს რეზერვუარის მუშა მდგომარეობამდე მიყვანას), საიდანაც წყალი გადანაწილდება უშუალოდ ბაღის მთლიან ტერიტორიაზე მოწყობილ წვეთოვან სარწყავ სისტემაში.

ცხრილი N3.1 - რეზერვუარების GPS კოორდინატები:

პირველი რეზერვუარი

	X	Y
1	637272.00	4579486.00
2	637372.00	4579341.00
3	637317.00	4579296.00
4	637225.00	4579432.00

მეორე რეზერვუარი

	X	Y
1	637162.00	4579588.00
2	637265.00	4579506.00
3	637203.00	4579443.00
4	637111.00	4579537.00

მესამე რეზერვუარი

	X	Y
--	---	---

1	636849.00	4579769.00
2	637109.00	4579652.00
3	637090.00	4579610.00
4	637134.00	4579594.00
5	637084.00	4579553.00
6	636829.00	4579725.00

ცხრილი N3.2 - მაგისტრალური მილის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატი

	X	Y
1	637040	4579700
2	635454	4577236

ბადის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვა განხორციელდება პლასტმასის მასალისგან დამზადებული მილებით (d-160მმ), რომლებიც განთავსდება დაახლოებით 1 მ სიღრმის თხრილებში. აღნიშნულ მილებს დაუერთდება წვეთოვანი სარწყავი სისტემა, რომელიც აღჭურვილი იქნება კომპენსირებადი საწვეთურებით ყოველ 0,5-1 მ-ში. თითო საწვეთურიდან წყლის დაღვრის მახასიათებელი არის 1,5 ლ/დღ.

დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობისთვის **გამოსაყენებელი წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 26 000 მ³-ს** (უარესი სცენარის გათვალისწინებით აღებულია თეორიულად მაქსიმალური მოცემულობა). ცხრილში N3.3, დათვლილია თვეების მიხედვით რამდენ მ³ წყალს საჭიროებს 100 000 ნერგი. წყლის რაოდენობა გამოთვლილია უარესი სცენარის გათვალისწინებით, იმ შემთხვევისთვის თუ ზაფხულის პერიოდი სრულად გვალვიანი გამოდგა.

ცხრილი N3.3 - საჭირო წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით, მ³

იანვ.	თებერვ.	მარ.	აპრ.	მაის.	ივნ.	ივლ.	აგვის.	სექტ.	ოქტ.	ნოემბ.	დეკ.
0	0	0	0	2000	4000	8000	8000	4000	0	0	0

როგორც ცხრილიდან ჩანს იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ბაღი არ მოიწვევა და წყალდება არ განხორციელდება, შესაბამისად მორწყვის ჯერადობა იქნება ნული. ბაღის მორწყვა განხორციელდება მხოლოდ შემდეგ თვეებში: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. ბაღის მორწყვა ივლისი-აგვისტოს თვეში მოხდება 2 დღეში ერთხელ, ივნისი-სექტემბრის თვეში 3-4 დღეში ერთხელ, ხოლო მაისში 5 დღეში ერთხელ. იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის თვეები ზოგჯერ გვალვიანია, შესაძლოა მორწყვა მეტადაც

განხორციელდეს, თუმცა წყალაღების რაოდენობა არ გადააჭარბებს იმას, რაც ზემოაღნიშნული ცხრილითა და შემდგომ ტექნიკური რეგლამენტით იქნება განსაზღვრული. ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნა წყლის ეს რაოდენობა დათვლილია უარესი სცენარით და შესაძლებელია, რომ მოხდეს აღნიშნულზე ნაკლები წყლის გამოყენებაც.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ჩანს, რომ ბადის მორწყვა არ ხდება ინტენსიურად ან ყოველდღიურად, შესაბამისად ვერ იქნება მოცემული თითო ნერგის დღე-ღამეში მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა.

4. სამელიორაციო სისტემის მოწყობისთვის გათვალისწინებული სამუშაოები

სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად გათვალისწინებულია მაქსიმუმ ერთი თვე. მოწყობის სამუშაოებისას პირველ რიგში განხორციელდება ბულდოზერით და ექსკავატორით რეზერვუარების დამატებით გაწმენდა, ძირისა და გვერდების გასწორება, შემდგომ ბეტონის ჭის მოწყობა, პირველი და მეორე რეზერვუარის ერთმანეთთან და მეორე და მესამე რეზერვუარის ბეტონის ჭასთან დაკავშირება. ამის შემდგომ დაგეგმილია წყალმიმღების ადგილის მომზადება, ბეტონის ფილის განთავსება და დაახლოებით 3000 მ მაგისტრალის გაყვანა, სადაც ჩაიყრება მეტალის (რკინა, თუჯი) 150 – 200 მმ დიამეტრის მქონე მილები და დაიფარება იმავე მიწით, რომელიც ამოღებული იქნება თხრილების მომზადებისას. მაგისტრალის თხრილის პარამეტრებია: სიგანე 60 სმ, სიღრმე 1 მ (სიგრძე, როგორც ამავე აბზაცში აღინიშნა იქნება დაახლოებით 3000 მ). ბეტონის ჭიდან ნუშის ბაღამდე მაგისტრალური მილი ძირითადად გაყვანილი იქნება სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის გამავალი, უკვე არსებული გრუნტის გზის გაყოლებაზე, რომელიც არ კვეთს კერძო საკუთრებას და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, ხოლო მილის პატარა მონაკვეთები გადაკვეთს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე სამ მიწის ნაკვეთს შემდეგი საკადასტრო კოდებით: 52.14.32.116; 52.14.32.038; 52.12.31.000.023, ზემოაღნიშნული საკითხი შეთანხმდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. ამასთან, მაგისტრალური მილი, ერთ წერტილში, გადაკვეთს შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობას (ს/კ: 52.00.186; კვეთის წერტილის GPS კოორდინატია: X-636575.701; Y-4578923.613). აღნიშნულ წერტილში მილი ჩაიდება წყალმოვარდნის გვირაბში, რომელიც არის კაპიტალური ნაგებობა (იხ. დანართი 4 - შპს „სოკარ ჯორჯია გაზ“-თან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი). რაც შეეხება მეტალის რეზერვუარის სარემონტო სამუშაოებს (მის მუშა მდგომარეობამდე მიყვანას), სამუშაოები იქნება მსუბუქი ხასიათის. წყალმიმღების ადგილზე განთავსდება ტუმბოები, რომელთა მართვაც მოხდება მექანიკურად. ბოლოს მოხდება ბადის ტერიტორიის დაქსელვა, განთავსდება 160 მმ-ის მქონე პლასტმასის მილები (დაახლოებით 1 მეტრ სიღრმეზე, აღნიშნულიც დაიფარება იმავე მიწით, რომელიც ამოღებული იქნება

მათი მოწყობისას), რომლებიც მიუერთდება მეტალის რეზერვუარს, ხოლო პლასტმასის მიღებზე დაერთდება წვეთოვანი სარწყავი სისტემა, საიდანაც მოხდება ბაღის მორწყვა.

სურ. N4 - მაგისტრალური მილსადენის სქემა (განცხადებას თან ერთვის მილსადენის Shp ფაილები)



საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს კომპანიას გააჩნია საცხოვრებელი სახლი, რომელიც გამოყენებული იქნება ობიექტზე დასაქმებული ადამიანებისთვის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები იქნება მსუბუქი სახის და განხორციელდება დღის საათებში.

5. დასაქმება და სამუშაო გრაფიკი

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე, ობიექტზე დასაქმებული იქნება დაახლოებით 7 ადამიანი, ხოლო რაც შეეხება ბაღის ოპერირებას სრულ განაკვეთზე დასაქმდება 40-60 ადამიანი.

6. საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზები

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიამდე მიდის არსებული გზები, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს სარემონტო ან მოწყობის სამუშაოებს.

7. რაიონის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით და სამხრეთით კი აზერბაიჯანი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი კახეთის მხარის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია. მუნიციპალიტეტის ფართობია 2529,2 კმ², მხარის ტერიტორიის დაახლოებით 17%-ია. 2014 წლის მონაცემებით მოსახლეობა შეადგენდა 21 221 კაცს. ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. დედოფლისწყარო.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი ივრის ზეგანს უჭირავს, რომელიც აქაური რელიეფის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია. ივრის ზეგანი უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გადადის ელდარის დაბლობში, რომელიც წარმოადგენს აზერბაიჯანის ნახევარუდაბნოთა უშუალო გაგრძელებას. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ორი ტიპის ჰავა. სამხრეთ ნაწილში ცხელი ზაფხულიანი ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, ჩრდილოეთ ნაწილში კი - ზომიერად ნოტიო ჰავა, ზომიერად ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურაა 10,3°C, აბსოლუტურ მაქსიმუმი 38°C. წელიწადში 400-600 მმ ნალექი მოდის, შირაქში 540 მმ, დედოფლისწყაროში 650 მმ. ნალექების მინიმუმი ფიქსირდება ელდარის დაბლობზე (250-300 მმ), აგრეთვე დიდი შირაქის ვაკეზე (490 მმ).

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით საპროექტო რაიონი, განეკუთვნება II კლიმატურ და IIბ კლიმატურ ქვე რაიონს.

ცხრილი N7.1 - სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

პუნქტის დასახელება	კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %

დედოფლისწყარო	II	II ბ	-5-დან -2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
---------------	----	------	---------------	---	-----------------	---

ცხრილი N 7.2 - ჰაერის ტემპერატურა

№	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, °C														პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურით				საშუალო ტემპერატურა 13 საათზე																											
		თვის საშუალო														წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი თვის საშუალო	ყველაზე ცივი თვის საშუალო	ყველაზე ცივი თვის საშუალო	ზანაზანი	საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის																					
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი												მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
1		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25																							
1	დედოფლისწყარო	-1,5	0,1	3,2	9,1	11,9	18,3	21,7	21,7	17,0	11,3	5,0	0,5	10,1	-26	35	27,1	-10	-11	-1,8	161	1,7	2,7	26,3																							

ცხრილი N 7.3 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

№	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, °C														თვის მაქსიმალური, °C													
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი				
1		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26				
2	დედოფლისწყარო	8,9	8,3	8,8	9,6	11,1	11,0	10,5	10,6	10,4	8,8	8,7	8,8	19,0	18,4	18,9	19,7	21,2	21,1	20,6	20,7	20,5	18,9	18,8	18,9				

ცხრილი N 7.4 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %														საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა					
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19					
1	დედოფლისწყარო	80	79	80	75	74	68	65	64	74	82	86	83	76	67	50	21	27					

ცხრილი N 7.5 - ნაღებების რაოდენობა

N	პუნქტების დასახელება	ნაღებების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნაღებების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	დედოფლისწყარო	648	116

ცხრილი N 7.6 - თოვლის საფარი

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეღამური რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	დედოფლისწყარო	0,50	45	64

ცხრილი N 7.8 - ქარის მახასიათებლები

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი							ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, წელიწადში მ/წმ							ქარის მიმართულებისა და მტილის განმეორებადობა (%) წელიწადში						
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	მტილი		
1	დედოფლისწყარო	23	28	30	32	33	9/17	4/89	5/19	10/12	9/4	14/2	30/6	19/11	2,6/0,7	3,3/0,5	12	13	12	15	10	7	17	14	33		

ცხრილი N7.9 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

N	პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	დედოფლისწყარო	28	34	36	42

8. მდ. ალაზნის ჰიდროლოგია

მდინარე ალაზნის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

მდინარე ალაზანი სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 825 მეტრის სიმაღლეზე, ორი მდინარის, წიფლოვანისხევისა და სამყურისწყალის შეერთებით სოფ. ყაღორთან. ერთვისმინგეჩაურის წყალსაცავს გარე კახეთის ზეგანის სამხრეთ დაბლობებასთან. მდინარის სიგრძე 351 კმ-ია, საერთო ვარდნა 745 მ, საშუალო ქანობი 0,0021. მისი წყალშემკრები აუზის ფართობი 11800 კმ²-ია. მდინარეს ერთვის სხვადასხვა რიგის 1803 შენაკადი საერთო სიგრძით 6851 კმ.

მდინარის წყალშემკრები აუზი ასიმეტრიული ფორმისაა. აუზის 65,3% მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე. აუზის ზედა ნაწილი, სიგრძით დაახლოებით 20 კმ, სათავიდან ქ. ახმეტამდე, მდებარეობს კავკასიონის ქედის მაღალმთიან და საშუალომთიან ზონაში. აუზის დანარჩენი ნაწილი, სიგრძით დაახლოებით 330 კმ, ქ. ახმეტიდან შესართავამდე, მდებარეობს კახეთის მთათაშორისო დაბლობზე.

აუზი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსაზღვრულია კავკასიონის ქედით, რომლის საშუალო სიმაღლეები ამ მონაკვეთზე 2600-2800 მეტრს შორის იცვლება. აუზის დასავლეთ საზღვარი გადის კახეთისა და მის სამხრეთ გაგრძელება გომბორის ქედზე, რომელთა უმაღლესი წერტილები მერყეობენ 1682 მ-დან (მთა მანავის ცივი ცივ-გომბორის ქედზე) 2505 მ-მდე (მთა გარეჯა კახეთის ქედზე). აუზის ქვედა ნაწილს სამხრეთ-დასავლეთიდან ესაზღვრება გარე კახეთის ზეგანი, რომლის საშუალო სიმაღლეები 700-დან 1084 მ-მდე მერყეობენ.

აუზის ზედა, კავკასიონის ქედის მაღალმთიან და საშუალომთიან ზონაში არსებულ ნაწილზე ხშირია შენაკადების ღრმად ჩაჭრილი ხეობები და ეროზიული ხეხვები. ამ ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები და თიხაფიქლები, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია აუზის მარცხენა მხარეს, მარჯვენა მხარეს კი გვხვდება კირქვები და კონგლომერატები. აუზის ქვედა ნაწილის გეოლოგია წარმოდგენილია მეოთხეული ასაკის ალუვიური და ალუვიურ-დელუვიური ნალექებით.

აუზის ნიადაგური და მცენარეული საფარველი მრავალფეროვნებით ხასიათდება. აუზის მთიან ნაწილში გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგები თიხნარი შემადგენლობით.

ქვედა ნაწილის მარცხენა მხარეზე გვხვდება ალუვიური, ტყის არაკარბონატული, ხოლო მარჯვენა ნაპირზე ალუვიური კარბონატული ნიადაგები. ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე გავრცელებულია საშუალო და მძიმე თიხნარი შემადგენლობის ტყის ყავისფერი ნიადაგები. 2000-დან 2200 მ-მდე გავრცელებულია ალპური მდელოები, 1400 მ-ზე დაბლა გვხვდება ფოთლოვანი ტყეები, ხოლო დაბლობი ძირითადად ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. ბუნებრივი მცენარეულობა აქ წარმოდგენილია მეჩხერი ბუჩქნარით და ნახევრად უდაბნოს მცენარეულობით.

მდინარის ხეობა სათავეებში ყუთისმაგვარია, მისი ფერდობები ერწყმის მიმდებარე ქედების კალთებს. ქალაქ ახმეტას ქვემოთ მდინარის ხეობა არამკაფიოდ არისგამოსატული. მდინარის კალაპოტი სათავიდან ჭიურის ხიდამდე ზომიერად კლაკნილი და დატოტილია. მდინარის ნაპირები ხრეშიანი და დამრეცია. ჭიურის ხიდის ქვემოთ მდინარე მიედინება ერთ, დაუტოტავ კალაპოტში. მდინარის ნაპირები აგებულია თიხნარი ნიადაგით, რომელიც ადვილად ირეცხება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პერიოდში. მდინარე მაწიმის შეერთების შემდეგ მდინარე ალაზანი ხასიათდება თავისუფალი მუხრებებით. მუხრების გარეცხვისა და მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების შედეგად, რამდენიმე ადგილას ტყით დაფარული ჭალა მოხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ნაკადის სიგანე, სიღრმე და სიჩქარე იცვლება სათავიდან შესართავისკენ. ნაკადის სიგანე მერყობს 10-12 მეტრიდან (სოფ. ბირკიანთან) 60-80 მეტრამდე (მდ. აგრიჩაის შეერთების ქვემოთ), სიღრმე 1,0-1,5 მეტრიდან 4,5-5,8 მეტრამდე, სიჩქარე 1,5-2,5 მ/წმ-დან მცირდება 0,8-1,2 მ/წმ-მდე. ნაკადის ფსკერი სათავეებში ხრეშიანია, ჭიურის ხიდის ქვემოთ კი სილიანი.

მდინარე საზრდობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის თოვლის დნობით გამოწვეული წყალდიდობით, ზაფხულ-შემოდგომის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით და მეტ-ნაკლებად გამოსატული ზამთრის წყალმცირებით. გაზაფხულ-ზაფხულის წყალდიდობის პერიოდში მდინარის ჩამონადენი შეადგენს წლიური ჩამონადენის 65-72%-ს (გაზაფხულზე ჩამოედინება 35-40%, ზაფხულში 30-32%). შემოდგომაზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 20-23%, რაც ხშირად იცვლება მდინარის წყლიანობის შესაბამისად და ცალკეულ წლებში უტოლდება ზაფხულის ჩამონადენს. ზამთარში წყალმცირება და ჩამოედინება მხოლოდ 8-18%.

მდინარე ალაზანი გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. მდინარე ალაზანზე და მის შენაკადებზე არსებობს 23 ირიგაციული არხი, მათ შორის 3 მაგისტრალური და ერთი დიდი სატუმბო სადგური. სხვა არხები ლოკალური ხასიათისაა. მაგისტრალური და ლოკალური ირიგაციული არხების გარდა, მდ. ალაზნის აუზში არსებობს 5 ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავი. მდინარე ალაზნის სათავეებში, მდინარეების სამყურისწყლისა და წიფლოვანისხევის შეერთების ადგილას, ბოლო წლებში აშენდა და მწყობრში შევიდა ხაღორის ჰესი დადგმული სიმძლავრით 24 მგვტ. ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე ფუნქციონირებს ალაზანჰესი, დადგმული სიმძლავრით 4,8 მგვტ.

მაქსიმალური საანგარიშო ხარჯების განსაზღვრა

მდ. ალაზნის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეები საპროექტო კვანძში, დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის

საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში”. აღნიშნული მეთოდის თანახმად, წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი აღემატება 300 კმ²-ს, იანგარიშება ემპირიული რეგიონალური ფორმულით, რომელიც გამოყვანილია სპეციალურად მდ. ალაზნის აუზისთვის და რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q_{5\%} = [6.48 / (F+1)^{0.55}] F \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც F – მდ. ალაზნის წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, რაც ტოლია 7450 კმ².

აქედან მიიღება მდ. ალაზნის 1%-იანი უზრუნველყოფის (100 წლიანი განმეორებადობის) მაქსიმალური ხარჯი საპროექტო კვეთში. გადასვლა 1%-იანი უზრუნველყოფიდან სხვა უზრუნველყოფებზე განხორციელებულია სპეციალურად დამუშავებული გადამყვანი კოეფიციენტებით. მდინარე ალაზნის სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში, დადგენილი რეგიონალური ემპირიული ფორმულით, მოცემულია #8.1 ცხრილში.

ცხრილი N8.1

P%	1	2	3	5
Q მ ³ /წმ	1451.3	1222.14	1089	955

წყლის მაქსიმალური დონეები

მდინარე ალაზნის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად საპროექტო უბანზე, გადაღებული იქნა კალაპოტის განივი კვეთები, რომელთა საფუძველზე დადგენილი იქნა მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტები.

კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე ნაანგარიშებია შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$V = (h^{2/3} \times i^{1/2}) / n$$

სადაც h - ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;

i - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია ორ საანგარიშო კვეთს შორის;

n - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, ჩვენ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა, დადგენილი სპეციალური გაანგარიშებით, მიღებულია 0,0237-ის ტოლი.

ქვემოთ, #8.2 ცხრილში, მოცემულია მდ. ალაზნის სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები.

მდინარე ალაზნის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები

კვეთის #	წყლის ნაპირის ნიშნულები მ.აბს.	წმდ	წმდ
		$\tau = 100$ წელს, Q=1451.3 მ ³ /წმ	$\tau = 33$ წელს, Q=1089 მ ³ /წმ
1	172.61	176.01	175.41
3	172.53	175.93	175.33
5	172.47	175.87	175.27
7	172.39	175.79	175.19

კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმე

მდინარე ალაზნის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო უბანზე, დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებაში“. აღნიშნული მეთოდის თანახმად, ალუვიური კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე იანგარიშება ფორმულით.

მდინარე ალაზნის საპროექტო უბანზე კალაპოტური პროცესების თვალსაზრისით შეუსწავლელია. ამიტომ, მისი კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე დადგენილია მეთოდით, რომელიც გამოიყენება მთისა და წინამთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში კალაპოტის ზოგადი წარეცხვის სიღრმის საანგარიშოდ. აღნიშნული მეთოდის თანახმად, კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{\text{საშ.}} = \frac{k}{i^{0.03}} \left(\frac{Q_{1\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}$$

მიღებული რიცხვითი მნიშვნელობების შეტანით ზემოთმოყვანილ ფორმულაში მიიღება მდ. ცხენისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე 5.03 მ-ისტოლი.

კალაპოტის საშუალო წარეცხვის სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე იქნება:

$$H_{\text{მ.საშ.}} = H_{\text{საშ.}} \cdot (1.0 + 0.17) = 5.9\text{მ}$$

კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე, როცა ბერმის დახრილობა შეადგენს $m=1.5$, შეადგენს $H_{\text{მ.აქ.}} = H_{\text{საშ.}} \cdot 1.8 = 5.9 \cdot 1.8 = 10.6\text{მ}$

კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მრუდხაზოვან უბანზე, 3% უზრუნველყოფის ხარჯის შემთხვევაში, როცა ბერმის დახრილობა შეადგენს $m=1.5$, შეადგენს: $H_{\text{მ.აქ.}} = 9.5\text{მ}$

9. ზემოქმედების შეფასება

9.1 შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების თვალსაზრისით დადებითი გადაწყვეტილებაა მიწისქვეშა მაგისტრალური მილსადენის მოწყობა. მილსადენის მიწისქვეშ განთავსება მნიშვნელოვნად ამცირებს აღნიშნული სახის ზემოქმედებას და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს. მილსადენის ტრასა თითქმის ერთგვაროვანია და ძირითადად წარმოდგენილია გრუნტის გზის მიმდებარედ არსებული ბალახოვანი საფარით. პროექტის ეტაპზე დაგეგმილი მიწის სამუშაოები იქნება მცირე მასშტაბის და იგი განხორციელდება შეზღუდულ ვადებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ უშუალოდ საპროექტო ღერეფანი არ წარმოადგენს ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველ ტერიტორიას.

რაც შეეხება რეზერვუარებს, ისინი მოწყობილია 1900-იანი წლებიდან და მათი დამატებითი გასუფთავება, ძირისა და გვერდების გასწორება და წყლით შევსება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ რეზერვუარების განთავსების ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია დაახლოებით 3 კმ-ით.

მიწის სამუშაოების ფაზაზე ვიზუალური ზემოქმედების შემცირების მიზნით, საჭიროა მასალების და ექსკავირებული გრუნტის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ისე განთავსება, რომ ნაკლებად შესამჩნევი იყოს ვიზუალური რეცეპტორებისთვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსკავირებული გრუნტი მიწის განთავსების შემდგომ, გამოყენებული იქნება თხრილების ამოსავსებად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი მნიშვნელოვან ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას არ გამოიწვევს. სამუშაოების დასრულების შემდგომ დროებით ათვისებული უბნები დასუფთავდება და მაქსიმალურად დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

9.2 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია რეზერვუარები, ესაზღვრება ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასზე რაიმე სახით ზემოქმედებას. ტუმბოების მოწყობისა და რეზერვუარების გაწმენდა-მოსწორების სამუშაოები

განხორციელება კანონმდებლობის სრული დაცვით, აღნიშნულ სამუშაოებზე დაწესდება მკაცრი კონტროლი, შესაბამისად დაცულ ტერიტორიებზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება ბალისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთებს, ისინი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან დაშორებულია დაახლოებით 1,1 – 2,2 კმ-ით. ნუშის ბალის გაშენება თავისი სპეციფიკის და დაცული ტერიტორიიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით მასზე რაიმე სახის ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ექსპლუატაციის ეტაპზე დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

9.3 ზემოქმედება სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, შესაბამისად ზემოაღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ეფექტური ფუნქციონირების და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. დაგეგმილი საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. სამელიორაციო სისტემის მოწყობისა, ბალის გაშენებისა და მოსავლის აღების პერიოდში დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს.

9.4 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საპროექტო მილისთვის შერჩეული ტრასის მიმდებარე ტერიტორია და მიწის ნაკვეთი, სადაც რეზერვუარებია განთავსებული წლების მანძილზე განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას. შესაბამისად ენდემური ჰაბიტატებისგან თავისუფალი და სახეცვლილია. პროექტი ადვილად ადაპტირებადი და თავსებადია კომპანიის მიერ შერჩეული ტერიტორიისთვის. საპროექტო მიწის ნაკვეთები არ წარმოადგენს ხმელეთის ცხოველებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების განხორციელების შედეგად პრაქტიკულად გამორიცხულია ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვანი სახეობის ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას ან მათ უშუალო განადგურებას. ძირითადად ზემოქმედებას დაექვემდებარება ტერიტორიის განაპირა საზღვრებზე შემჩნეული მცირე ზომის მინდვრის თავგები და ქვეწარმავლები. ზემოქმედება გამოიხატება მათ შემოფოთებაში და ღრობით მიგრაციაში.

რაც შეეხება ფრინველებს, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ფრინველების საბუდარი ადგილები არ დაფიქსირებულა.

ტუმბოების და შემწოვი მილების მოწყობის პროცესში, მდინარის სანაპიროსთან მუშაობის დროს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყლის ბიომრავალფეროვნების დროებით შეშფოთებას. ზემოქმედება ძირითადად გამოიხატება წყლის სიმღვრივის შესაძლო მატებაში. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 10 დღე ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან ზემოქმედებას. სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ ერთ სანაპიროზე და დაგეგმილი არ არის კალაპოტის გადაკეტვა ან მდინარის ჩამონადენზე ზემოქმედება.

რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, გამომდინარე იქიდან, რომ მაქსიმალური წყალაღება მცირეა, აღნიშნული ვერ მოახდენს იხტიოფაუნის საბინადრო არეალზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

9.5 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

სამელიორაციო სისტემის მოწყობისას, წყალაღების წერტილიდან ნუშის ბალამდე მილების მიყვანის სამუშაოები არ ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, რადგან თხრილები გაუყვება არსებულ გრუნტის გზას, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება, კავშირი გვაქვს მხოლოდ გრუნტოვან ფენასთან. აღნიშნული მილები ჩაიდება დაახლოებით 1 მეტრ სიღრმეზე. 1 მ-იანი თხრილებში მილების განთავსების შემდგომ, ამოღებული გრუნტი გამოყენება მოხდება ისევე იმავე თხრილების ამოსავსებად. რაც შეეხება ბადის ტერიტორიის დაქსელვას, მოხდება პლასტმასის მილებით რომელიც გაყვანილი იქნება ასევე მიწის ქვეშ დაახლოებით 1 მეტრ სიღრმეზე, მილების განთავსების შემდგომ, ამოღებული მიწის გამოყენება მოხდება იმავე თხრილების ამოსავსებად. უშუალოდ წვეთოვანი სარწყავი სისტემა კი დაურთდება პლასტმასის მილებს და განთავსდება მიწის ზედაპირზე, რაც არ გამოიწვევს ზემოქმედებას ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე.

რაც შეეხება უშუალოდ ბადის გაშენებას, საქმიანობა მოიაზრებს ნუშის დასარგავად მიწის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დამუშავებას, რაც გულისხმობს ტერიტორიის მოხვნას (და არა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას). რაც შეეხება რეზერვუარების ძირისა და გვერდების გასწორების დროს ამოღებულ მიწას, იგი განთავსდება ბადის ტერიტორიაზე.

9.6 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესაბამისად აღნიშნულზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის ალბათობა თითქმის არ არსებობს. თუმცა, გრუნტის ექსკავირების პროცესში ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული

